სოფლის მეურნეობის და სურსათის წარმოების სფეროში

დასაქმების შესაძლებლობები ნიუ-იორკის შტატში

მაისი, 2023 წელი

ქვემოთ მოცემულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ტიპები, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია ნიუ-იორკში. უმეტეს შემთხვევაში, თქვენ მოგიწევთ 50 ფუნტზე მეტი (23 კგ) წონის აწევა და დღეში 8 საათის, ან მეტი, განმავლობაში ფეხზე დგომა. ზოგიერთი ტიპის საქმიანობას სჭირდება წინასწარი ცოდნა, ზოგი კი მოითხოვს კონკრეტულ გამოცდილებას აღჭურვილობის გამოყენების, სხვა პირების მეთვალყურეობის და სხვა სფეროში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ოპერატორი: მანქანების ექსპლუატაცია ყველა ტიპის ფერმაში ხდება. ამგვარი თანამდებობა ხშირად მოითხოვს გამოცდილებას საბაზისო ფერმის აღჭურვილობის ექსპლუატაციაში და შეკეთებაში. ზოგიერთი ფერმა მზად არის მოამზადოს თანამშრომლები უაღრესად სპეციალიზებული მანქანების მართვაში. აღჭურვილობის ტიპები განსხვავდება პროდუქტის მიხედვით.

- კონკრეტული მოვალეობები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

    - ქიმიკატი პესტიციდების დამუშავება და შერევა და მათი გამფრქვევ მოწყობილობებში განთავსება

    - მანქანების, ასევე ხელის მფრქვეველის საშუალებით სასუქი ან პესტიციდების გაფრქვევა მწერების, დაავადებებისა და სარეველების გასაკონტროლებლად

    - სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მოწყობილობების, როგორიცაა ტრაქტორები, პლანტატორები, კომბაინები და სარწყავი აღჭურვილობა, ექსპლუატაცია ან შეკეთება

    - ფერმის დანადგარების წესრიგში მოყვანა და ექსპლუატაცია და დანადგარის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხელმძღვანელობის ინფორმირება

    - ტრაქტორებზე სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების, როგორიცაა გუთანი, დისკები, სპრეი ან კომბაინი, მიმაგრება

    - ბუქსირებული ხელსაწყოების, როგორიცაა სათესი ან სასუქის გამავრცელებლები, ექსპლუატაცია

    - მინდვრებიდან მოსავლის ასაღებად და აღებული მოსავლის გასატანად დიდი სატვირთო მანქანების მართვა

რძის მწარმოებელი ფერმის მუშაკი ან მწყემსი: ეს მოვალება ითვალისწინებს მერძეულ საქონელთან პირდაპირ კონტაქტს. სამუშაო შეიძლება ითვალისწინებდეს ხელით შრომას, როგორიცაა ძროხების წველა და ახალგაზრდა ცხოველების მოვლა, ან ნახირის უფრო სპეციალიზებულ მართვას, რაც მოითხოვს ცხოველების სიღრმისეულ ცოდნას, სპეციალური აღჭურვილობის ექსპლუატაციას და სხვა.

- კონკრეტული მოვალეობები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:
    - ძროხების წველა დღეში ორჯერ ან სამჯერ
    - ბოსელის გასასუფთავებლად ტექნიკის ექსპლუატაცია
    - ტრაქტორების და ბუქსირებადი მანქანების, როგორიცაა სასუქის გამავრცელებელი და საველე აღჭურვილობა, ექსპლუატაცია
    - ავადმყოფი ძროხების იდენტიფიცირება და მკურნალობა
    - ძროხების მშობიარობაში, ძროხების და ახალშობილების მოვლაში მონაწილეობის მიღება
    - ჩლიქების მოვლაში მონაწილეობის მიღება
    - ვაქცინაციის ჩატარება
    - ძროხების მოშენება
    - საქონლის გადაადგილებაში მონაწილეობის მიღება

სანერგე მეურნეობის თანამშრომელი: მრეწველობის ეს დარგი ეწევა მცენარეების გამრავლებას, ნერგების გაზრდას და მომწიფებული მცენარეების გადარგვას ან გაყიდვას

- კონკრეტული მოვალეობები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:
    - წლიური ყვავილების, სათბური ბოსტნეულის და საშემოდგომო მცენარეების დარგვა, გასუფთავება, მორწყვა, განაყოფიერება, გადარგვა და ტრანსპორტირება
    - სანერგე მეურნეობის აღჭურვილობის მოვლა
    - სათბურის და გარე ყვავილების მინდვრების მოვლა
    - ტექნიკის ექსპლუატაცია
    - კომპოსტის წარმოების მართვაში მონაწილების მიღება

კონტროლირებადი გარემოს სოფლის მეურნეობის (CEA) წარმოების ან მარკეტინგის თანამშრომელი: ამგვარ ფერმებში ბოსტნეული და მწვანილი იზრდება სათბურებში ან შენობებში სოფლად და ქალაქებში. ეს სექტორი ეძებს პირებს, ვინც თავდაპირველად მცენარეების ზრდით დაკავდება და დროში სათბურების და ბიზნესის მართვასაც შეძლებს.

- კონკრეტული მოვალეობები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

    - ფოთლოვანი მწვანილის, სანელებლების, პომიდორის და სხვა კულტურების დათესვაში, მოვლაში და მოსავლის აღებაში მონაწილეობის მიღება
    - ყოველდღიურ სამუშაოებში ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა
    - მცენარეების სათავსოების და ადგილების გასუფთავება დაავადებების თავიდან ასაცილებლად
    - ბოსტნეულისა და მწვანილის შეფუთვის ხაზებზე მუშაობა
    - თანამშრომლებზე ზედამხედველობა და მათი მომზადება

რძის მწარმოებელი ქარხნის თანამშრომელი: ეს სექტორი ამუშავებს რძეს და აწარმოებს რძის პროდუქტებს, როგორიცაა ჩამოსხმული რძე, იოგურტი, არაჟანი, ხაჭო და ნაყინი. ნიუ-იორკის შტატში მდებარეობს ქარხნები, რომლებსაც სხვადასხვა კომპანიები მართავენ. მოვალეობები მოიცავს გადამამუშავებელ აღჭურვილობის ექსპლუატაციას ან პროდუქციის ხარისხის, შეფუთვისა და ტრანსპორტირების მონიტორინგს. რძის ქარხნებში ტარდება მუდმივი ტრენინგები.

- კონკრეტული მოვალეობები შეიძლება შეიცავდეს შემდეგი ვალდებულებების კომბინაციას:

    - პროდუქტების დასამუშავებელი და შესაფუთი ტექნიკის ექსპლუატაცია
    - გადამუშავების და შეფუთვის ხაზების მოწყობილობების და მასალების დასუფთავება და კონტროლი
    - საწარმოო ხაზის თანამშრომლების მხარდაჭერა, რათა შენარჩუნდეს პროდუქტიულობა და პროდუქტის ხარისხი
    - პროდუქციის გასანაწილებლად სატვირთო მანქანების მართვა (საჭიროა კომერციული მართვის მოწმობა)
    - საწარმოო ხაზის თანამშრომლების მხარდაჭერა, რათა შენარჩუნდეს პროდუქტიულობა და პროდუქტის ხარისხი
    - ზოგიერთი ოპერატიული პრობლემის დიაგნოსტიკა და გადაჭრა
    - გადაზიდვისთვის პროდუქციის მომზადებაში მონაწილეობის მიღება

- სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამებში მონაწილეობის მიღება
- პერსონალის ზედამხედველობა და მომზადება

სურსათის გადამამუშავებელი ქარხნის თანამშრომელი: ეს სექტორი ორიენტირებულია ახალი პროდუქტების შექმნაზე სასოფლო-სამეურნეო საქონლის გამოყენებით, როგორიცაა ხილ-ბოსტნეული ან ყავა. ნიუ-იორკის შტატში არსებობს რამდენიმე გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმო, რომელიც ეძებს თანამშრომლებს საწარმოო ხაზების, დისტრიბუციის და ხარისხის უზრუნველყოფის განხრით.

- კონკრეტული მოვალეობები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

  - საწარმოო მანქანების მართვა და პრობლემების მოგვარება
  - საწარმოო ხაზის თანამშრომლების მხარდაჭერა, რათა შენარჩუნდეს პროდუქტიულობა და პროდუქტის ხარისხი
  - პროდუქციის გასანაწილებლად სატვირთო მანქანების მართვა (საჭიროა კომერციული მართვის მოწმობა)
  - ხარისხის კონტროლის მონიტორინგში, მათ შორის წარმოების და შეფუთვის სხვადასხვა ეტაპზე პროდუქციის ნიმუშის აღება, მონაწილეობის მიღება
  - სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩანაწერების შენახვასა და ანგარიშგებაში მონაწილეობის მიღება